



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business



RESOLVE



Empowered lives.
Resilient nations.

**COVID19-ით გამოწვეულ რთულ სიტუაციაზე,
უთანხმოებასა და შესაძლო დავებზე
ადრეული რეაგირება, მათი დროული მართვა
და ეფექტიანი გადაწყვეტა ბიზნესისთვის**

საკილოთე პროექტი





ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business



Empowered lives.
Resilient nations.

COVID19-ით გამოწვეულ რთულ სიტუაციაზე, უთანხმოებასა და შესაძლო დავებზე ადრეული რეაგირება, მათი დროული მართვა და ეფექტიანი გადაწყვეტა ბიზნესისთვის

საპილოტე პროექტი¹

¹ საპილოტე პროექტის ავტორი და ინიციატორია RESOLVE. პროექტი ხორციელდება RESOLVE-ის და GIAC-ის მიერ ერთობლივად, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „გაუმჯობესებული მედიაცია და არბიტრაჟი დავების უფრო სწრაფი და სამართლიანი გადაწყვეტისთვის“ მხარდაჭერით.



I. მიზანი

პროექტის მიზანია უზრუნველყოს დაავების პრევენციის, მართვისა და მოგვარების სხვადასხვა პროცესების ხელმისაწვდომობა, სიცხადე და მოქნილობა COVID19-ის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ქართული ბიზნესისთვის. ამგვარად, პროექტი ხელს უწყობს მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს, რომელზეც უარყოფითად იმოქმედა COVID19-ის პანდემიით გამოწვეულმა მდგომარეობამ, გამონახონ შექმნილი სირთულეებიდან ან/და დაავებიდან დროული და ეფექტიანი გამოსავალი, ისეთი, რომელიც დაეხმარება მათ შეინარჩუნონ ურთიერთობა კონტრაქტებთან, თანამშრომლებთან თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, და მოახდინონ რესურსების მობილიზება და ურთიერთობების ადაპტირება შექმნილ სიტუაციასთან ეფექტიანი გამკლავების მიზნით.



II. არსი

პროექტის ფარგლებში პროექტის ბენეფიციარებს (მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს) ექნება შესაძლებლობა მიმართოს საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს (შემდგომში GIAC-ს) და მოითხოვოს მესამე ნეიტრალური პირის - პროფესიონალი ფასილიტატორის/მედიატორის - დახმარება კონტრაქტებთან დისკუსიის/მოლაპარაკების წარმართვის (ფასილიტაცია) ან დავის მოგვარების (მედიაცია) მიზნით.

ვის შეუძლია პროექტით სარგებლობა?



საქართველოში რეგისტრირებულ მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს, რომელთა აზრითაც მათზე უარყოფითად იმოქმედა COVID19-ით გამოწვეულმა მდგომარეობამ, და რომელსაც:



სურს წარმართოს მოლაპარაკება კონტრაქტთან/დასაქმებულთან/სახელმწიფოსთან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან თუ მათ შესაძლო ადაპტაციასთან, დაკავშირებით (მოლაპარაკების/დისკუსიის ფასილიტაცია);



აქვს გაუგებრობა/დავა და საჭიროებს მის სწრაფ, გრძელვადიან და ნაკლებ-ხარჯიან მოგვარებას მეორე მხარესთან შეთანხმებით (მედიაცია).



უცხოეთში რეგისტრირებულ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს საქართველოში რეგისტრირებულ მიკრო, მცირე, საშუალო ან მსხვილ ბიზნესთან რომელიმე ზემოხსენებული საჭიროება.



საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს თუ ადმინისტრაციულ ორგანოებს რომელთაც აქვს საქართველოში რეგისტრირებულ მიკრო, მცირე, საშუალო ან მსხვილ ბიზნესთან რომელიმე ზემოხსენებული საჭიროება.

რა საკითხებთან დაკავშირებით არის შესაძლებელი პროექტით სარგებლობა?

ვალდებულებით ან კომერციულ საკითხებთან დაკავშირებით.

რა პროცესებია ხელმისაწვდომი?

პროექტის ბენეფიციარებს შეუძლიათ მოითხოვონ:

მოლაპარაკების ან დისკუსიის პროცესის ხელშეწყობა/ფასილიტაცია

ფასილიტატორის ჩართულობა მიზანშეწონილია, როდესაც მხარეებს შორის (ჯერ) არ არსებობს დავა/კონფლიქტი, ე.ი. მხარეები არ არიან ურთიერთდაპირისპირებული; არამედ მხარეები ათვითცნობიერებენ სიტუაციის სირთულესა და აქედან გამომდინარე მოლაპარაკების ან დისკუსიის წარმართვის, ურთიერთობების ადაპტაციის და გამოსავლის ძიების საჭიროებას. ამ პროცესში მესამე ნეიტრალური პირი - ფასილიტატორი - დაეხმარება მხარეებს, რომ მათი დიალოგი იყოს კონსტრუქციული, დისკუსია - ნაყოფიერი, შეინარჩუნონ ფოკუსი გამოსავალზე, ეფექტიანად გამოიყენონ დრო და არსებული რესურსები.

ფასილიტაციის თავისებურებები:

- ▶ პროცესი წარიმართება GIAC-ის ფასილიტაციის წესების შესაბამისად;
- ▶ მხარეთა მოლაპარაკების/დისკუსიის შედეგი შეიძლება იყოს მხარეთა შეთანხმება, სამოქმედო გეგმა ან სხვა ბუნების/სახელწოდების დოკუმენტი თუ გამოსავალი, რომლის მიღწევაც მხარეებს სურთ.

მედიაცია

თუკი მხარეებს შორის ურთიერთობა იმგვარად არის დაძაბული, რომ ხდება პოზიციების დაპირისპირება, ადგილი აქვს ურთიერთბრალდებებს და/ან სამართლებრივი არგუმენტების ურთიერთნაყენებას, მიზანშეწონილია დავის მედიაციისთვის გადაცემა. მედიატორი დაეხმარება მხარეებს გამონახონ ისეთი გამოსავალი, რომელიც ორივესთვის მისაღები იქნება და ხელს შეუწყობს მათ შორის არსებული დავა მოავგარონ სწრაფად, ურთიერთშეთანხმებით.

მედიაციის პროცესის თავისებურებები:

- ▶ პროცესი წარიმართება GIAC-ის მედიაციის წესებისა და „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- ▶ მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება (სამედიაციო მორიგება) შეიძლება დამტკიცდეს სასამართლოს მიერ და გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.



III. პრინციპები

ნებაყოფლობითობა

ფასილიტაცია და მედიაცია ნებაყოფლობითი პროცესებია. მხარეები ამ პროცესებში ერთვებიან საკუთარი ნებით. ამასთან, ნებისმიერ ეტაპზე, მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ პროცესი, თუკი მიიჩნევენ რომ ის არ არის პროდუქტიული. პროცესი ნებაყოფლობითია ფასილიტატორისა და მედიატორისთვისაც; ეს ნიშნავს, რომ თუკი ფასილიტატორი/მედიატორი მიიჩნევს რომ პროცესი არ ემსახურება მიზანს, მას შეუძლია შეწყვიტოს პროცესი დასაბუთების გარეშე.

კონფიდენციალობა

ფასილიტაცია და მედიაცია კონფიდენციალური პროცესებია. ამას განამტკიცებს ერთი მხრივ, GIAC-ის ფასილიტაციისა და მედიაციის წესები. ამასთან, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი ქმნის მედიაციის პროცესის კონფიდენციალობის დამატებით საკანონმდებლო გარანტიას.

მიუკერძოებლობა

ფასილიტატორი/მედიატორი ნეიტრალური პირია. ის ვალდებულია დაიცვას GIAC-ის პრინციპებითა და წესებით, ისევე როგორც კანონმდებლობით დადგენილი მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ხარისხი. თუკი რომელიმე მხარეს რაიმე ეტაპზე დაებადება კითხვა ფასილიტატორის/მედიატორის მიმართ ნდობის მხრივ, მას შეუძლია მოითხოვოს ფასილიტატორის/მედიატორის აცილება ან შეწყვიტოს პროცესი.

მოქნილობა

ფასილიტაცია და მედიაცია მოქნილი, არაფორმალური პროცესებია. პროცესები ერგება მხარეთა და სიტუაციის საჭიროებებს.

თვითგამორკვევა

ორივე პროცესი (ფასილიტაცია და მედიაცია) ეფუძნება თვითგამორკვევის პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ ფასილიტატორი და მედიატორი არ განსჯის სიტუაციას, არ იძლევა რჩევებს, არ იღებს გადაწყვეტილებას. ფასილიტატორი/მედიატორი ეხმარება მხარეებს თავად განსაზღვრონ რა საკითხებია მნიშვნელოვანი, შეაფასონ რისკები, გამოავლინონ შესაძლებლობები და მონახონ გამოსავალი, რომელიც ყველაზე მეტად იქნება მათი ინტერესების შესაბამისი.



IV. პროცესის ფორმა და ხანგრძლივობა

როგორ წარიმართება პროცესი?

მედიაციისა და ფასილიტაციის პროცესი წარიმართება დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებით, GIAC-ის მიერ უზრუნველყოფილი ონლაინ კომუნიკაციის ტექნოლოგიური პლატფორმის საშუალებით. ასეთ შემთხვევაში, GIAC-ის მედიაციისა და ფასილიტაციის წესებთან ერთად ასევე მოქმედებს ონლაინ (დისტანციური) მედიაციისა და ფასილიტაციის პროტოკოლი.

პროცესის ხანგრძლივობა

თითოეული შემთხვევის საჭიროებიდან გამომდინარე, ფასილიტაცია ან მედიაცია შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათი, რიგ შემთხვევებში კი შესაძლოა საჭირო იყოს შეხვედრების წარმართვა რამდენიმე დღის განმავლობაში. პროცესი მოქნილია და ერგება მხარეების საჭიროებას. ზოგადი ვადები კი რეგულირდება GIAC-ის ფასილიტაციისა და მედიაციის წესების, ასევე „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პროექტის ხანგრძლივობა

თავად პროექტი საპილოტე რეჟიმში იმოქმედებს 3 თვის განმავლობაში - ეს იმას ნიშნავს, რომ პროცესები ამ კონცეფციაში მითითებული პირობებით წარიმართება 2020 წლის 15 ივლისამდე. ამის შემდგომ პროექტი შესაძლოა გაგრძელდეს GIAC-ის მიერ როგორც დავების მართვისა თუ გადაწყვეტის სერვისის სახე. რა ფორმით და როგორ გაგრძელდება პროექტი საპილოტე ვადის მიღმა დაზუსტდება შემდგომ.



V. ხარჯები

საპილოტე პროექტს მხარს უჭერს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), რომელიც დააფინანსებს პროცესის მონაწილეთა ფასილიტაციისა და მედიაციის ხარჯების ნაწილს - კერძოდ კი, ფასილიტატორის/მედიატორის 1 დღის ჰონორარს.

ამასთან, საპილოტე პროექტის ფარგლებში GIAC ათავისუფლებს ყველა განმცხადებელს მისი ადმინისტრაციული ხარჯებისგან.



ამ ვადის მიღმა ფასილიტატორის ან მედიატორის ჰონორარი GIAC-ის წესებში განსაზღვრული ოდენობით ანაზღაურდება მხარეთა მიერ, მათი შეთანხმების შესაბამისად, ხოლო შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში - მათ მიერ თანაბარწილად.

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერის რესურსი შეზღუდულია. ამ სახსრების (სუბსიდირების) ამოწურვის შემდგომ შემოსულ განაცხადებზე მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა ისარგებლონ ფასილიტაციისა და მედიაციის პროცესებით თუკი თავად გაიღებენ GIAC-ის მედიაციის წესებით განსაზღვრულ ფასილიტატორის/მედიატორის ჰონორარის ხარჯებს.



VI. პროცედურა

წინამდებარე პროექტის ფარგლებში განაცხადის წარდგენისას GIAC-ის სამდივნო ამოწმებს რამდენად ექცევა მომართვა ამ პროექტის ფარგლებში, კერძოდ:

-  არის თუ არა პროცესის ერთ-ერთი მონაწილე საქართველოში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტი;
-  არის თუ არა საკითხი ან დავა, რომელიც წარმოადგენს მომართვის საფუძველს, გამომწვეული COVID19-ის პანდემიის შედეგად.

განაცხადის მიღების შემდგომ სამდივნო იწყებს შესაბამის - ფასილიტაციის ან მედიაციის წესებით - გათვალისწინებულ წარმოებას, ან განაცხადის ავტორს აცნობებს, რომ განაცხადი არ ჯდება საპილოტე პროექტის ფარგლებში.

თუკი განცხადი არ ექცევა საპილოტე პროექტის ფარგლებში, განაცხადის ავტორს შეუძლია დაიწყოს სამედიაციო წარმოება ჩვეულებრივ, საპილოტე პროექტს მიღმა, GIAC-ის მედიაციის წესების შესაბამისად.



VII. დავების განხილვის სხვა მექანიზმები

პროექტს მიღმა, GIAC-ი ასევე სთავაზობს მხარეებს არბიტრაჟის გზით დავების გადაწყვეტას, რაც მხარეებს მისცემს საშუალებას მათ შორის არსებული დავა გადაწყდეს დროის მჭიდრო ვადებში, საბოლოოდ და მათ მიერ არჩეული პროფესიონალ(ებ)ის მიერ. მეტი ინფორმაციისთვის არბიტრაჟის შესახებ იხილეთ (დაჩქარებული წესები და ჩვეულებრივი წესები), ისევე როგორც სანიმუშო შეთანხმება არსებული დავის GIAC-ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად გადაწყვეტის შესახებ.

ფასილიტაციის თუ მედიაციის პროცესებში მონაწილეობა არ უშლის ხელს და არ უქარწყლებს ბენეფიციარს უფლებას საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს თუ დავების განხილვის სხვა პროცესებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

